წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ოთხშაბათი ოქტომბრის 11—(24) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 1 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა, თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 146    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 146

## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი.**

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**

მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—3 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

## განცხადება

### ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ამა წლის 30 ეკენისთვის სხდომაზედ დაადგინა:

1). გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები გამხმარ ხილზე საერთოდ 20 მანეთიდან 25 მანეთამდე.

2.) გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები ლობიოზე 10 მანეთიდან 15 მანეთამდე შემდეგ ნაირად

ა.). წვრილი ლობიო,, ძაძა“ სხვა და სხვა ჯიშის არეული და ძველი მოსავლის 12 მანეთი

ბ.) ადგილობრივი „წითელი“ და“ თეთრი ლობიო 14

გ.) ჭრელი მსხვილი ლობიო „ჩიტის კვერცხა “15

ვ.) გაუქმებული იქმნეს მტკიცე ფასები ტყემლის ტყლაპზე, და ნება დართული იქმნეს თავისუფალი ვაჭრობა ტყლაპზე

დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან გამოცხადებისა,

ზემოხსენებული დადგენილების დამრღვევი იქმნება პასუხის გებაში მიცემული 29 მუხ. სისხლის სამართ. წესდ. დროებ. მთავარ.

თავჯდომარე კომიტეტის ა. ჯაფარიძე.

განყოფილების საქმის მწარმოებელი მ. სეერსპუტოვსკი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება **„ქიროლინი“**, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს, პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ვაჭართა დარბევის გამო.

ჩვენ გაზეთში ბევრჯერ გვითქვამს და უკანასკნელ წერილში კიდევ მეტის გარკვევით გავიმეორეთ ის აზრი, რომ ქართველები, შედარებით რუსის ხალხთან, უფრო გონივრულად, უფრო შეგნებულად შეხვდენ რევოლუციას. მაგრამ ზოგიერთი უთუოდ იფიქრებს, რომ ეს შეხედულება სავსებით დაარღვია ვაჭრების იმ საზარელ რბევა აწიოკებამ, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოთ, ორს ოქტომბერს მოხდა ქუთაისში. ჩვენ მაინც კიდევ ჩვენს აზრს ვადგივართ და ვფიქრობთ, რომ ეს სამწუხარო მოვლენა არ არის იმისთანა დამახასიათებელი ფაქტი, რომელზედაც უნდა დავამყაროთ რაიმე ზოგადი შეხედულება ქართველებზე.

მწუხარებით აღვიარებთ იმ ფაქტს, რომ ქალაქის დამრბევთა შორის ქართველებიც იყვნენ, მაგრამ ძლიერ საჭიროა, ვიკითხოთ: ვისი თაოსნობით ატყდა ორს ოქტომბერს ვაჭართა განადგურება? ქუთაისის ვაჭართა აწიოკება პირველათ ქართველებს თავში არ მოსვლია, და—ამაში ღრმათ დარწმუნებული ვართ—არც მოუვიდოდათ არასოდეს. ის ბოროტმოქმედება, რომელსაც რუსეთში „პოგრომს“ ეძახიან, ჩვენი ხალხის ხასიათს და მიმართულებას საზოგადოთ არ შეეფერება. დარბევის განზრახვა დაიბადა და განმტკიცდა სხვა ტომის ჯარის-კაცთა შორის, იმ ჯარის-კაცთა შორის, რომელნიც ამ მოკლე ხანში ჩამოვიდენ ქუთაისში და რომელთაც „ცარიცინის მეამბოხეთა“ სახელი უკვე მოიხვეჭეს. ეს ცხადია. მხოლოდ ამ „მეამბოხეთ“, სამწუხაროთ, მიეკედლა და ხელი შეუწყო ზოგიერთმა შეუგნებელმა ქართველმაც. რა ვქნათ! „ყოველ ოჯახში თითო მახინჯი არ გამოილევაო“,—ნათქვამია. ამ „მახინჯებმა“ თავი ვერ შეიკავეს, როდესაც შესაძლებლათ დაინახეს, სხვისი ქონება მიეთვისებიათ. ამნაირათ ზოგიერთი ქართველი ჯარის-კაცი მიემხრო იმ მოსულ ჯარის-კაცებს, რომელთაც ეს სამარცხვინო საქმე ითავეს. კიდევ უფრო მეტს ვიტყვით. იყო მცხოვრებთა ნაწილი, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობას იღებდა დარბევაში. ეს მონაწილეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ზოგმა არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწია დამრბეველთ, პასიურად უყურებდა ძარცვა-გლეჯას, ზოგი კი პირდაპირ ხელს უწყობდა ბოროტ-მოქმედთ იმით, რომ ნაძარცვ საქონელს ინახავდა.

ყველა ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ აქ უბრალო ბოროტმოქმედება ერთი და ორი ადამიანისა არ ყოფილა,—აქ რთული ფაქტორები იყო, რომელიც პრესამ, შეძლებისადაგვარად, უნდა გამოიკვლიოს, გაითვალისწინოს.

დღევანდელი მოვლენის მიზეზთა შორის პირველად თვით ვაჭრებზე უთითებენ. ისინიო, იმათი თავგასულობაა მიზეზიო. ისინი ღირსნი იყვნენ ამ აწიოკებისაო: ისე გაადიდეს საქონლის ფასი, რომ ორ-შაურიანი ჩითი ორ მანეთად ვერ გვიყიდნიაო. ღირსშესანიშნავია ამ შემთხვევაში ერთი ინტელიგენტის სიტყვა: „როდესაც სიტყვა „ვაჭარი“ ჩემ ყურს მოხვდება, მაშინვე ხელები მომეფხანება...“ რაღა თქმა უნდა, ამნაირმა შეხედულებამ დიდი გავლენა იქონია ხალხზე. როდესაც ჯარის-კაცები ვაჭართ არბევდენ, აუარება შრომის ნაყოფს ანადგურებდენ, ისინი უთუოთ ფიქრობდენ, რომ საზოგადოების საქმეს აკეთებენ, ხალხის სურვილს ასრულებენ.

მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ—ეს ხომ გაუგებრობაა. ჩვენ არ გვინდა ვაჭართა დამცველის როლი მივიღოთ ამ წერილში, არ გვინდა იმათ იდეოლოგათ გამოვიდეთ, მაგრამ სამართლიანობას ჩვენ გვერდს ვერ აუვლით. მართალია, ზოგიერთი ვაჭარი უსინდისობას ჩადიოდა: საქონლის ფასს, რამდენათაც შეეძლო, ადიდებდა, საქონელს მალავდა და სხ. მაგრამ არ შეიძლება ერთი და ორი ვაჭრის მოქმედება მთელ ვაჭრობაზე გადავიტანოთ. მართალია, საქონელი გაძვირდა, მაგრამ საქონლის გაძვირება განა ვაჭართა ნებაზეა დამოკიდებული?! ვინ არ იცის, რომ აქ რთული ეკონომიური კონიუნქტურა მოქმედობს, მოქმედობს ყველა ის პირობები, რომელნიც შექმნა ჯერ მსოფლიო ომმა და შემდეგ რევოლუციამ! მოვიგონოთ, რომ თვით ვაჭრებიც ერთობ გადიდებულ ფასებში ყიდულობენ ფაბრიკანტებისაგან საქონელს. თუმცა იმათ ომის დაწყებამდი, ვთქვათ, რომელიმე საქონელი **ხუთ მანეთად** უჯდებოდა ქუთაისში, ახლა, ომის და რევოლუციის დროს, იგივე საქონელი უჯდება, მაგ., **ხუთ თუმნათ.** ამას გარდა ვაჭარს რამოდენიმე პროცენტი მოგება უნდა ჰქონდეს. თუმცა რომელიმე საქონელზე მანამდის მას **ერთი მანათი** მოგება ჰქონოდა, ახლა ეს მოგება **ხუთ** და **რვა მანეთად** უნდა გახადოს, ამიტომ რომ მაშინდელ მანეთს თითქმის არ უდრის დღევანდელი ხუ-ხუთი და ათი მანეთი, რადგანაც დღეს ქაღალდის ფულის ღირებულება წარმოუდგენლად დაეცა რუსეთში.

თვალსაჩინო მაგალითს ახლა პურის ფასი წარმოადგენს. ქუთაისში ომის დაწყებამდი გირვანქა პური **სამი კაპ.** ღირდა. ახლა კი იგივე გირვანქა და უფრო დაბალი პური **ხუთ შაურად** ღირს. და პურის საქმე ხომ ვაჭრების ხელში არაა,—იმას სასურსათო კომიტეტი განაგებს, რომელსაც, რასაკვირველია, ვერ დავაბრალებთ პურის ფასის ხელოვნურად გადიდებას.

თუმცა, ამნაირად, ვაჭრებზე შეხედულება უსამართლოა, მაგრამ ამას მაინც თავისი სამწუხარო შედეგი ჰქონდა: ვაჭრებისადმი სიძულვარე წარმოსდგა. ამას კიდევ ერთი რამ დაემატა, რომლის დაფარვა პუბლიცისტს არ შეუძლია. ეს „ერთი რამ“ ის არის, რომ ზოგიერთები ამ უკანასკნელ დროს გადაჭარბებულათ და ჩვენი პირობების შეუფერებლათ გაიძახოდენ ხოლმე „კლასთა უთანხმოებაზე“, ,,კლასთა ბრძოლის გაღრმავებაზე‘‘. ჩვენი საზოგადოება იმათ ორ ბანაკად გაჰყვეს: ერთი მხრით დააყენეს ,,მუშა ხალხი‘‘, ,.დემოკრატია‘‘, მეორე მხრით—,,ბურჟუაზია‘‘, რომელთ რიცხვში, რაღა თქმა უნდა, ვაჭრებიც შედიან. ამ ორ ბანაკ შუა დიდი ზღვარი დაიდვა, რომელიც ბრძოლის ველად გახდა. ბურჟუების დამარცხება—დემოკრატიის აღორძინებათ აღიარეს. თურმე ქუთაისში, ერთ ადგილას, ამნაირი წარწერაც იყო გამოკიდული: „Война дворцамъ. Миръ хижинамъ“.

ამის შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს, რომ სხვის მიერ მომზადებულ საზიზღარ რბევაში ზოგიერთმა ქართველმაც მონაწილეობა მიიღო.

**დ. გურული.**

## ნუ გადავამეტებთ!

არსად დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი მიმართულების ჯგუფი, რომ ყმაწვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის წინააღმდეგ რამეს ამბობდეს, არც ერთ ჭკუაში მყოფელ ადამიანს არ მოსდის ფიქრათ უარ ჰყოფს სამშობლო ენა, როგორც ერთად ერთი აუცილებელი იარაღი სწავლა-განათლების შეძენის საქმეში. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ისეთი ავი ზნე არასოდეს არ გვჭირვებია, რომ სამშობლო ენა უარ გვეყოს, როგორც ცოდნის შეძენის ერთად ერთი ბუნებრივი იარაღი, ჩვენში არ არის და არც ყოფილა, სიმართლე უნდა ითქვას, არც ერთი მიმართულება, არც ერთი პარტია, ჯგუფი პოლიტიკური, რომ ესეთ ნაირ საზიზღარ გადაგვარების გზას დადგომოდეს, და მშობლიური ენა დაეგმოს.

ჩვენ მტკიცედ გვქონდა გულს აღბეჭდილი, რომ: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება სუყველგან დაჩაგრულია. ვიცოდით, რომ ვინც, სხვის ქურქს იცვამს და „თვის ენას სცვლის,“ ის ისეთ „ცრემლის დენას მოიმკის,“ როგორიც ერთმა უგნურმა თაგუნამ მოიმკო, თაგვობა რომ „იუკადრისა“ და ჩიტად გადაქცევა მოინდომა. ასეთია მტკიცე და ურყეველი შეხედულება ქართველი ერისა ამ საგანზე.

დღეს, საერთო განახლების დროს, ამ სანეტარო დროს რაცა მსოფლიო ომმა მონობის ჯაჭვები დაგლიჯა, აღდგენ ტლანქი ძალის მიერ ვათელილი უფლებანი, და, სხვათა შორის, უფლება ჩვენი ენისა, მშობლიური ტკბილი ენისა, აბ. ლევან ნათაძის სიტყვით, ვითომ და მეტის მეტათ გულ სატკენი და საზიზღარი რამ ხდება ჩვენში, ვითომ

ქართველი **მშობლების დიდი უმეტესობა** წინააღმდეგი იყოს ქართულ ენაზე ყმაწვილების სწავლებისა.

უნდა მოვახსენოთ პატივცემულ ბ. ნათაძეს **რომ სინამდვილეში ეს ესე არ გახლავთ.**

ღმერთი რომ გაგვწყრომოდა და ეს ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ წყალში გადასაგდები ვიქნებოდით მაშინ მართლაც და „ფურთხის ღირსი" იქნებოდა საქართველო.

არა ბ. კომისარო, ეგ ავრე არ არის და არც იქნება. თავისუფლების მზე რომ ამობრწყინდა და თავისი ცხოველ-მყოფელი სხივები მოფინა ჩვენს ქვეყანას, ამას ხალხი საზოგადოთ აღფრთოვანებით შეეგება. მყისვე გაჩნდენ სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, გაჩაღდა ხალისიანი მუშაობა. შებრძანდით კლასებში და ნახავთ, როგორი ხალისიანად მკვირცხლად, მერცხლებივით სწავლობენ ქართველი ყმაწვილები ქართულ ენაზე.

მართალია, არიან ისეთი ქართველებიც რომ რუსულ ენაზე სწავლას არჩევენ, ეს ფაქტია, მაგრამ მით უარესი ფაქტისათვის და არა ჩვენი ეროვნული საქმისათვის. **საქმე** იმაში გახლავსთ რომ, ბ. ნათაძე რომ ბრძანებს **უმეტესობას** რუსულად სურსთ სწავლაო, ჯერ დათვლილი უნდა ჰყავდეს და მერე ამბობდეს ამას. თუ დავითვლით მე თავმდებობას ვკისრულობ, რომ ეგრეთი მშობლები, სამშობლო ენის უარის მყოფელნი სულ უმნიშვნელოა გამონაკლისს შეადგენენ

და ვინც შეადგენს მათაც რაოდენიმედ გასამართლებელი საბუთი მოეპოვებათ. მაგალითათ ავიღოთ ის სასწავლებელი, სადაც ამ სტრიქონების დამწერი მსახურებს. ერთ კლასში აქ აღმოჩნდა, რომ ორი სამი ქართველი რუსულ განყოფილებაში სწავლობს, **დიახ ორი სამი**. ერთი მათგანი, როგორც კი მასწავლებელმა საქმის მდგომარეობა აუხსნა, მაშინვე ქართულ განყოფილებაში გადავიდა მეორე რუსეთში, სახელდობრ ირკუტსკში დაბადებულა და გაზრდილა, ასე რომ ქართული არ ცოდნია, მხოლოთ საქართველოში, რომ ჩამოსულა რაოდენიმეთ შეუსწავლია, და იმედია მალე ქართულ განყოფილებაში გადავა, ჩვენ მას არ ვუჩქარით და ძალას არ ვატანთ: საუკეთესო ძალათ აქ მშობლიური ივანანა მიგვაჩნია. მესამეზე უნდა მოგახსენოთ, რომ მე მას ქართველად ვთვლი, მაგრამ ჯერ მისი ქართველობა, ცოტა არ იყოს კიდევ დასამტკიცებელია. ეს ქართველი ისრაელი გახლავს, და ამ ისრაელობას თვალი ხომ პალესტინისკენ უჭირავს, პალესტინას სთვლის თავის სამშობლოდ და არა საქართველოს. თუ ამ უკანასკნელ ხანაში ჩვენი პუბლიცისტიკა ამტკიცებს, რომ ესენი წმიდა წყლის ქართველები არიანო, ამას ჯერ კიდევ მასის გულის სიღრმემდე არ მიუწევია. აქ ისიც უნდა ითქვას რომ, როგორც აცხადებს ეს ყმაწვილი, მას შემდეგში საქართველოში ცხოვრება არ მოელის. ვინღა დაგრჩათ მაშ ამ კლასში რომ ქართველი იყოს და ქართულად არ სწავლობდეს?

ასეა საქმე ამ სასწავლებლის სხვა კლასებშიც და სხვა სასწავლებლებშიც ქალ. ქუთაისში, სადაც იმერეთის ახალგაზდობის უმეტესობა სწავლობს. ასეა საქმე მთელ დასავლეთ საქართველოში. თქვენ, ბ. კომისარო, უკაცრავათ ნუ ვიქნები და უნდა მოგახსენოთ, რომ ანგარიშით თავი არ შეგიწუხებიათ და უსაფუძვლოთ გინებებიათ მისი თქმა, რაც სინამდვილეში არ არის.

ნუ გვისაყვედურებთ მას, რაც სასაყვედურო არ არის, ნუ მოიქცევით მტრის გასახარებლათ.

**ქართველობას მთლიანათ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, სურს ქართულათ სწავლა** და კიდევაც უნდა ისწავლოს.

თუ ორიოდე ბავშვი უცხოეთში გაზრდილა და ჯერ კიდევ აქ ქართულს კარგათ ვერ შესჩვევია, ეგ არაფერი: ისინიც მალე სდგებიან ბუნებრივ კალაპოტში. შეიძლება ზოგიერთებს იმის შიში ქონდეს, რომ ვაი თუ ქართულათ რომ ვისწავლოთ, ვერაფერი თანამდებობა ვერ მივიღოთ. ამათ თქვენ უთხარით, რომ ჩვენში ყოველგვარი სახელმწიფო დაწესებულება საქმეს ქართულად აწარმოებს, მოკლე მომავალში სრულიათ, და მაშინ ნახავთ, რა გზას დაადგებიან. რას ბრძანებთ:

თავის უბედური ვინ იქნება!

**გლეხი.**

# რევოლუციის ამბები.

3. დ. ს.

დეპეშები.

### საბჭოების ყრილობა

**მოქმედი ლაშქარი.** ოქტომბრის 5. მე-12 არმიის დეპუტატთა საბჭოთ ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც ნათქვამია, საბჭოს მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდება დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაცია არისო.

### გაზეთის დახურვა

**მინსკი.** ოქტომბრის 6. უმაღლესი მთავარ სარდალის განკარგულებით მავნე მიმართულებისთვის დაიხურა გაზეთი „მოლოტი".

### სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა

**პეტროგრადი.** ოქტომბერი 6. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, ვინაიდგან დროებით მთავრობის 1917 წ. მარიამობისთვის 9-ს დადგენილებით დამფუძნებელ კრების არჩევნები დანიშნულია ოქტომბრის 12-სათვის, ხოლო საარჩევნო წარმოება დაიწყო ოქტომბრის 3-ს დათხოვნილ იქმნას მე-4 სახელმწიფო სათათბირო, ხოლო სახელმწიფო საბჭოს წევრთა რწმუნებულება არჩევნების საქმეში — გაუქმდეს.

### შიმშილობა

### შენახულ სურსათის ჩხრეკა

**ყაზანი** ოქტომბრის 5. დეპუტატთა საბჭო სჩხრეკს მცხოვრებლებს. შენახულ სურსათის აღმოჩენა სურთ.

### დახმარება სურსათით

**დონის როსტოვი.** ოქტომბრის 4. სამხედრო მთავრობამ მიიღო რადიოტელეგრამა ურსურსათობის შესახებ რადიოტელეგრამა — გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბრიანსკში და რჟევში 200 ათასი ფუთი პური და ქერი.

### თავნებით ჩხრეკა

**კურსკი.** ოქტომბერი 5. სასურსათო და სამანუფაქტურო საწყობებს თავნებითი ჩხრეკა და განადგურება არ ასცდა. სალამოთი სიწყნარე ჩამოვარდა.

### ინჟინრების შეპყრობა

**დონის—როსტოვი.** ოქტომბრისთვის 4. ნოვოჩერკასკიდან მიღებულ ცნობით სულინის ქარხნის მუშებს შეუპყრიათ ქარხნის დირექტორი და სამი ინჟინერი და ოქტომბრის 10 სათვის გაფიცვა გამოუცხადებიათ. მუშები ქარხნის ტერიტორიიდან ჯარის გაყვანას მოითხოვენ.

### არეულობა ხერსონის გუბერნიაში.

**ოდესა.** ღვინობისთვის 6. ვოზნესენსკიდან (ხერსონის გუბერნია) სერიოზულ უწესოებას იტყობინებიან. ბრბოს თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მთვრალი მეამბოხეებმა დაარბიეს ღვინის საწყობი დაამტვრიეს სადგურზე მდგომი საინტენდანტო ტვირთით სავსე ვაგონები. ვოზნესენსკში ჯარი გაიგზავნება. ცნობაა, რომ ვოზნესენსკში ამ უკანასკნელ ხანს ანტისემიტურ აგიტაციას ეწეოდნენ. უკანასკნელ ცნობებით ვოზნესენსკში სროლაა. რევოლუციურ შტაბის დადგენილებით გაიგზავნენ მეზღვაურნი, ყაზახები და 2 ტყვიისმფრქვეველნი.

### ფულის გაფლანგვა და ბოროტმოქმედება

**ოდესა.** ღვინ. 4, პოდუჩიკ გუსარევის პარტიზანულ რაზმს რევიზია უყვეს და აღმოჩნდა 30,000 მ. გაფლანგული და ბოროტ-მოქმედება მეურნეობის წარმოებაში. გუსარევი ამას წინად კონტრ-რევოლუციონერობისათვის დააპატიმრეს. რაზმი დაშალეს.

# რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

დეპეშები

### პრეზიდიუმის არჩევა.

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 7. გაიხსნა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო. დაესწრნენ დროებით მთავრობის წევრები, მინისტრ თავმჯდომარე და დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლები. კრებას ხსნის კერენსკი. თავმჯდომარედ ირჩევენ სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარეს ავქსენტიევს, მის ამხანაგებად—პეშეხონოვს, ნაბოკოვს, კროხმალს. ბოლშევიკებმა დარბაზი დასტოვეს.

### კერენსკის სიტყვა.

### მისალმება.

რუსეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობის სახელით ვხსნი რესპუბლიკის საბჭოს. მთავრობას ზრდილად აქ უხდება შეხვედრა და ერთად მუშაობა რუსის ერის ორგანიზაციულ ძალებთან. პირველი კრება იხსნება იმ დარბაზში, სადაც მრავალი ათეულ წლობით ტირანის ბუდეთ იყო გადაქცეული. ამაში ჩვენ მომავლის სიმბოლოს უნდა ვხედავდეთ. ნება მომეცით ჩემი გრძნობები გამოვაცხადო. გაუმარჯოს თავისუფალ ჩვენ სამშობლოს! ნურარ აღსდგება თვითმპყრობელობა ნურვინ შეეხება რუსის ერის სუვერენულ უფლებებს, რომელიც თავის მომავლის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის დამფუძნებელ კრებაზე (ტაში ცენტრში, მარჯვნივ და მარცხნივ ზოგ-ზოგ ადგილიდან).

### დამფუძნებელი კრება.

რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობას რევოლუციამ მიანიჭა სრული უფლება-მოსილება და მან ფიცი დასდო, რომ უფლება-მოსილება იგი გადაეცა რუსეთის ერთა რწმუნებულ ორგანოსათვის დამფუძნებელ კრებისათვის.

დროებითი მთავრობას ორხელ მაინც მოუხდა რუსეთი ეხსნა აუცილებელ დაღუპვისაგან, გვწამს, რომ რუსეთის რესპუბლიკის საბჭოს კრება შეაძლებინებს დროებით მთავრობას შემდეგშიც გამარჯვებული გამოვიდეს ყოველგვარი განსაცდელისაგან. თავის მხრით დროებით მთავრობა აღთქმას სდებს, რომ კრების მოწვევა აღარ დააყოვნოს. პირიქით, იგი შეეცდება რაც შეიძლება მალე ისეთი პირობები შექმნას, რომ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება რუსეთის გადასარჩენად და მომავალი მართვა-გამგეობის მოსაწყობად. (ხანგრძლივი ტაში).

### მთავრობა და რესპუბლიკის საბჭო.

საბჭოს წევრებო! მეტად მძიმე დროს გიხდებით მუშაობა. დროებით მთავრობამ მთელი თავისი ცოდნა და შრომა თქვენთან ერთად სამუშაოდ გამოაწოდა. გვახსოვს რა, რომ არა ფორმებში და კანონებშია საქმე, ჩვენ მხოლოდ იმას ვცდებით, რომ თქვენის დახმარებით და საზოგადო შრომით წინასწარ გარდაწყვეტილ არ იქმნეს დამფუძნებელ კრების ნებისყოფა. ძირითადი დანიშნულება, რაც რუსეთს წინ უძღვის განსახორციელებლად, ისაა, რომ საბჭოსი და მთავრობის მთელი ყურადღება მიაპყრობინოს შემდეგს სამ საკითხზე: ქვეყნის თავდაცვა, მებრძოლი ლაშქარის შექმნა, რომელიც შესძლებს უკანასკნელს თანდათანობით გათავისუფლებული, უკეთ რომ ვსთქვა, გათავისუფლებული მტერი (ტაში ცენტრში, მარჯვნივ და მარცხნივ ზოგიერთ ადგილებში). ამას ამიტომ ვამბობ, რომ მისი გამარჯვება მის ძალის გამო კი არაა მოპოვებული, არამედ ჩვენის უძლურებით (ხმები: „მართალია", ტაში). ჩვენ გვწამს, რომ იმ გამოცდილებას, რაც მთავრობამ შეიძინა, თქვენც მალე შეითვისებთ და რუსეთის ხალხს შეაძლებინებთ იმაზე ადრე გამოვიყვანოთ მძიმე მდგომარეობიდან, ვიდრე ამას მისი მტრები ჰფიქრობენ. (ტაში ცენტრში და ზოგიერთ ადგილებში).

### მეზღვაურთა გმირობა

ჩემ თავს, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, მოვალედ ვრაცხ უღრმესი თაყვანისცემით, უდიდესის კმაყოფილებით და აღტაცებით დავამოწმო თქვენსა მთელი სახელმწიფოსა და ქვეყნიერების წინაშე გმირობა და სიმამაცე, რომელიც გამოიჩინეს ეხლა ჩვენმა მეზღვაურებმა, რომელნიც 10 ჯერ უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლაში იღუპებიან, (ტაში ცენტრში, მარჯვნივ და მარცხნივ). სამშობლოსადმი დიდი პასუხისმგებლობა და ომის პირობები მკიდრო ოჯახად აკავშირებს ზღვაზე მებრძოლთ, რომელნიც განსაცვიფრებელი გამბედაობის მქონე ოფიცრების მეთაურობით რუსის მეზღვაურნი საარაკო გმირობას იჩენენ. არ შემიძლიან ესევე ვსთქვა ჩვენი ხმელეთის ჯარის შესახებ ჩემ თავს ნებას არ მივსცემ სიმართლე დავმალო და არც როდისმე დამიმალავს იგი. უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ მტრის საწინააღმდეგო ძალა არც კი გვქონდა. ამიტომ არის, რომ ვმარცხდებით ზღვაზე მაგრამ მოვალენი ვართ პატივი ვცეთ იმათ, ვინც სამშობლოს უმძიმეს პირობებში დახმარებას უწევენ. ძველი მთავრობისაგან გადმოცემული ვაუნათლებლობა და ის თავშეუკავებელი და უპასუხისმგებლო აგიტაცია და პროპაგანდა, რომელსაც ჯარის უმნეტეს მასაში აწარმოებენ, აი რა არის პასუხისმგებელი უბედურობის, ჩვენ რომ დაგვატყდა თავს. (ტაში).

### პეტროგრადის დაცვა

დროებითმა მთავრობამ ყველა ზომები მიიღო, რომ მთავარი ძარღვი სახელმწიფოისა, პეტროგრადი ხიფათს გადაარჩინოს. საბჭოს დახურულ სხდომაზე თავმჯდომარის ნებართვით გადავშლი მოსალოდნელ უბედურებათა სურათს, მაგრამ ამასთანავე კატეგორიულად ვარწმუნებ მთელ სახელმწიფოს, რომ რა გინდ დიდი იყოს უბედურება, რუსის მხედრობის ნებისყოფას ძალით ვერ მოსტეხენ. (ტაში)

### ომის მიზნები.

ომის მიზნები მკიდროდ არის დაკავშირებული ჯარის სიძლიერესთან. რუსეთის რევოლუციამ და თავისუფალმა ხალხმა ყველას გასაგონად და გარკვევით გამოსთქვა თავის შეხედულება ომის მიზნებზე. შემატებისათვის ბრძოლა კი არა, არამედ ზავი და მშვიდობიანი ცხოვრება სწყურია რუსის ხალხს. (ხანგრძლივი ტაში) ამ დემოკრატიის სახელით ჩვენ შეგვიძლიან გაბედულად ვსთქვათ: ჩვენ გვინდა ზავი უფლებით, მაგრამ არას დროს არ მოვიხრით ქედს და არ დავნებდებით ძალადობას, რომელიც შეურაცხყოფს უფლების მცნებას. (ხანგრძლივი ტაში). დეე, ჩვენმა მეგობრებმა და მტრებმა იცოდნენ, რომ ისტორია დღეებით არ იზომება და რა გინდ დიდი იყოს დღევანდელი უბედურება, ჩვენ კვლავინდებურად ამოუდგებით მხარში ჩვენ მოკავშირეებს და მტრებს როგორც თანასწორნი ისე დაუხვდებით (ტაში, მარჯვნივ, ცენტრში და მარცხნივ) ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლო მომავალში რომ საზღვარ-გარედ ღელვაცია მიემგზავრება, გაარკვევს ჩვენს მდგომარეობას ომის გადამწყვეტ ხანაში, რესპუბლიკის საბჭოს წევრებს უდიდესი პასუხისმგებლობის დრო გვიდგება.

(შემდეგი იქნება).

# ზავის გარშემო

### დეპუტატთა საბჭოს სხდომა.

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 5. დასრულდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტის სამი დღის სხდომა. ითათბირეს პარიზის მომავალ კონფერენციის შესახებ. სხდომას დაესწრნენ სამხედრო და საზღვაო მინისტრი, ფრონტების კომისრები და სალაშქრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პარიზის კონფერენციაზე ცენტრალი კომიტეტის ყოფილი შრომის მინისტრ სკობელევს ჰგზავნის.

### გერმანელთა სოციალ-დემოკრატების ყრილობა.

**კოპენჰაგენი.** გერმანელ სოც. დემოკრატების ყრილობაზე უმრავლესობის მემარცხენე ფრთის თავმჯდომარე ჰოზე რეზოლუციის პროექტი შემოიტანა, თუ მთავრობა სოც.-დემოკრატების მიერ წამოყენებულ საზავო პირობებს არ მიიღებს, მაშინ სამხედრო კრედიტებს ხმას აღარ მივცემთო. პროექტი 284 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 24 უარჰყვეს.

### პარიზის კონფერენცია.

**ნიუ იორკი.** ოქტომბრის 5. ოფიციალად იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობა გაგზავნის თავის წარმომადგენლებს პარიზის კონფერენციაზე.

### ბერნის კონფერენციის გადადება

**ციურიხი.** ღვინობისთვის 4. ბერნის კონფერენცია, რომელიც მტკიცე ზავის ჩამოსაგდებად უნდა მომხდარიყო, გამოურკვეველ დროისთვის გადაიდო, რადგან შეთანხმების სახელმწიფოებისგან ცნობა მიიღეს, რომ კონფერენციას ესწრებოდა მხოლოდ სამი იტალიელი, ერთი ინგლისელი დი ერთიც რუსი, მაშინ, როდესაც ცენტრალი სახელმწიფონი აცხადებდნენ —ჩვენ სახეში გვაქვს გამოვგზავნოთ 65 წარმომადგენელი და მათ შორის ერცბერგერიო.

### ნაკაზი პარიზის კონფერენციისათვის

**პეტროგრადი.** ოქტომბერი 7. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა ნაკაზი პარიზის კონფერენციაზე მიმავალ სკობელევისათვის. ნაკაზში ნათქვამია: „საზავო ხელშეკრულობა უნდა დაიდოს ზავისა და კონტრიბუციის უარყოფის პრინციპზე და ერთვნებათა თვითგამორკვევის საფუძველზე. ზავის აუცილებელ პირობად აღიარებულ იქნეს გერმანელთა ჯარის გაყვანა რუსეთის დაპყრობილ ოლქებიდან, ხოლო რუსეთი აძლევს სრულს თვითგამორკვევას პოლონეთს, ლიტვას და ლატვიას. ოსმალეთის სომხეთმა უნდა მიიღოს სრული ავტონომია და შემდეგი თვითგამორკვევის უფლება, როდესაც საამისო საერთაშორისო გარანტიები შეიქნება. ელზას-ლოთარინგის საკითხი უნდა გადაწყდეს თავისუფალ საყოველთაო ხმის მიცემით მას შემდეგ, როცა გერმანელები თავის ჯარს გაიყვანენ. სერბეთი მონტენეგრო და ბელგეთი აღდგენილ უნდა იქმნეს და ზარალი ამათ საერთაშორისო ფონდიდან უნდა აუნაზღაურონ. სერბეთს ადრიატიკულ ზღვისაკენ გასასვლელი უნდა მიეცეს. ბოსნია და ჰერცოგოვინა ავტონომიურ მართვა-გამგეობას [illegible] ბულგარეთს [illegible] მონტენეგრომდე ავტონომიური იქნება. რუმინეთი [illegible] უნდა იქმნეს, ხოლო [illegible] ებით კი ავტონომიური იქნება და ებრაელები რუმინეთის თანასწორ უფლებიან მოქალაქეებად უნდა იქმნენ აღიარებულნი. ავსტრიის იტალიელებით დასახლებულ ოლქებს ავტონომია უნდა მიეცეს. საკითხი, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდეს ეს ოლქები, პლებისციტით უნდა გადასწყდეს. გერმანეთს ახალშენები უბრუნდება საბერძნეთი და სპარსეთი უნდა აღსდგეს. სრუტეები შინაგან ზღვებისაკენ, სუეცისა და პანამის არხების ნეიტრალიზაცია უნდა მოხდეს. სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება გამოცხადდეს. აიკრძალოს სავაჭრო გემების ნაღმით ჩაძირვა. აღებული კონტრიბუციები უნდა დაუბრუნდეს. სავაჭრო ხელშეკრულობანი ზავის პირობებში არ შედის. ზავი ხალხის წარმომადგენელთა კონგრესზე უნდა დაიდოს. პირობები პარლამენტებმა უნდა დაამტკიცოს. საიდუმლო დიპლომატია უნდა გაუქმდეს. თანდათან უნდა მოხდეს იარაღის აყრა და „მილიციის სისტემაზე" გადასვლა. ნაკაზის აზრით ზავის ჩამოგდების გზა ასეთია: ყველა ქვეყნებმა უარი უნდა სთქვან ძალით შემოერთებაზე, გერმანეთმა უნდა აღიაროს, რომ თანახმაა პირობები მიიღოს და შემდეგ მოკავშირეებმა უნდა განაცხადონ, რომ მზად არიან დაიწყონ საზავო მოლაპარაკება. მოკავშირეები შეჰპირდებიან, რომ მოლაპარაკების დაწყება და ზავის ჩამოგდება მხოლოდ კონგრესზე უნდა მოხდეს— ყველა ნეიტრალ სახელმწიფოთა მონაწილეობით. დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელს ევალება მოითხოვოს, რომ არ დააბრკოლონ სტოკჰოლმის კონფერენცია.

### მანიფესტი პარტიებისადმი

**სტოკჰოლმი.** ოქტომბრისთვის 5. სტოკჰოლმი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი. ამ მან ფესტით ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მიმართვენ ინტერნაციონალურ პარტიებს: ამ ომმა არ გადასწყვიტა ის საკითხები, რომელთაც კონფლიქტი წარმოშვეს, რომ შემდეგში მას გარკვეული შედეგები ჰქონოდა. შემდეგისათვის ყოველივე ჩხუბი და უთანხმოება უნდა სწყდებოდეს საერთაშორისო არბიტრაჟით, შუამდგომლობით, პროლეტარიატის დაუყოვნებლივ გამოსვლის ძირითად მიზნად უნდა დაისახოს: საყოველთაო იარაღის აყრა. თუ მებრძოლი სახელმწიფონი დათანხმდებიან ამ ძირითად პუნქტების მიღებაზე, ამით შეიქმნება ერთვნებათა საზოგადოება. ზავი არ უნდა ჩამოვარდეს ისე, რომ გამარჯვებულმა დამარცხებულს ძალას ატანდეს. ზავი— შემარიგებელი ზავი უნდა იყოს და არა ძალადობითი. ს ორგანიზაციო კომიტეტს შემოაქვს შემდეგი წინადადებები:

### საზოგადო პირობები

არავითარი ანექსია, ე. ი. სრული დაცლა ევროპაში და ახალშენებში დაპყრობილ ადგილებისა და მათი დაბრუნება პატრონებისადმი. არავითარი კონტრიბუცია. აღდგენა აოხრებულ ტერიტორიებისა საერთაშორისო ფონდით, როდესაც ეს საჭიროა ეროვნულ თვითმართველობის გადასაწყვეტად, შრომის გარანტიები, საყოველთაო ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთათვის და ომის ამბებთან დამოკიდებულ დანაშაულისათვის.

# მსოფლიო ომი.

3. დ. ს.

დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

### მთავარი ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი.** ოქტ. 6 ოფიციალი. ყველა ფრონტზე სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** რუმინეთის ფრონტზე მფრინავმა გოლშევმა ავსტრიელთა საფრენი ჩამოაგდო. მფრინავები ტყვედ წამოიყვანეს.

**პეტროგრადი.** ოქტ. 7. ყველა ფრონტზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**პეტროგრადი.** ოქტ. 8. ოფიციალი. ყველა ფრონტზე სროლა და მზვერავთა

მოქმედებაა. ნაროჩის ტბის დასავლეთით და რუმინეთის ფრონტზე ბუზეუს პირთან მტერი დაძმობილებას სცდილობდა, მაგრამ სროლით უკან განვდევნეთ.

**ბრძოლა პეტროგრადის გზა ტკეცილის რაიონში.**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტ. 8. ჩრდილოეთის ფრონტზე დღეს დილის 8 საათზე სკოულის აღმოსავლეთით მტრის იერიშები ზარბაზნების სროლით მოვიგერიეთ. პეტროგრადის გზა-ტკეცილის რაიონში იაგოს სამხრეთით მტრის მძიმე არტილერიამ ჩვენი მოწინავე პოზიციები დაანგრია. იუდამის სამხრეთით 6 ვერსის მანძილზე მტრის ჯავშნიანმა ავტომობილმა იიუნზენის მიდამოებს 80-მდე ყუმბარა ესროლა. ჩვენი მოწინავე პოზიციების წინ გამოჩენილი მტრის მზვერავები გავფანტეთ. ოქტომბრის 7-ს ლაურნენცის მიდამოებში (კრონბერგის გზა) ჩვენ სიმაგრეებს მტერმა 70 ყუმბარა ესროლა. იმავე ღამეს დუბრეკის პირდაპირ 2 ნავით დუნაიზე გადმოსვლას ეცადნენ, მაგრამ თოფის სროლით განვდევნეთ. სვენტენის ტბის დასავლეთით მტრის მზვერავნი ჩვენი პოზიციებისკენ წამოვიდნენ, მაგრამ სროლით განვდევნეთ. შედუმის ტბის პირზე შევამჩნიეთ 6 ნავი და ხალხის მოძრაობა, ჩვენ მათ სროლა აუტეხეთ. სხვა ფრონტზე სროლაა.

**საზღვაო შტაბის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ოქტ 6. კუნძულები ოიზელი და მოონი გერმანელებმა საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში. დაგოზე თვალსაჩინო ბრძოლები არ მომხდარა, უგზოობისა და ქარიშხლების გამო. კუნძულის ჩრდილოეთის განაპირაზე ტახონის ბატარეამ ზარბაზნები მოაბრუნა ხმელეთისაკენ და მტრის მოძრაობას ხელი შეუშალა. დამყარებულ მდგომარეობის გამო საჭიროდ ვსცანით მოონზუნდის რაიონისა და ფინლიანდიის ყურეს შესავალის დამცველი საზღვაო ძალები უფრო უზრუნველყოფილ ადგილებში გადაგვეყვანა. თუმცა მტერი ცდილობდა ჩვენი გემები არ გაეშვა ფინლიანდიის ყურესაკენ, მაგრამ მაინც შევასრულეთ თითქმის სრულიად უვნებლად. დატოვებულ წყლებში ისეთი მდგომარეობა შევქმენით, რომ ამ რაიონით გერმანელები კარგა ხანი მოონზუნდსა და ფინლიანდიის ყურეს შესავალზე თავდასასხმელად ვერ ისარგებლებენ. ჩვენი გემების გადასვლის დროს გერმანელთა წყალქვეშა მოგვიახლოვდა, მაგრამ გავაქციეთ. ჩვენს ბალტიის ფლოტში მყოფი ინგლისის წყალქვეშა ბრძოლის დროს შეეხეთ მტრის „მარკგრაფის“ ტიპის დრედნოუტს, კრეისერებს და ნაღმოსნების დიდ რაზმს. წყალქვეშამ მოწინავე დრედნოუტს 2 ნაღმი ესროლა. მაშინვე გემებიდან და ჰიდროპლანებმა სასტიკი სროლა აუტეხეს. წყალქვეშაც ჩაიმალა. მაგრამ უკანასკნელზე მაინც გაუგიათ ნაღმის აფეთქების ხმა. ცოტა მოშორებით წყალქვეშა ისევ ამოსცურდა, დაინახა, რომ ნავებში სხდებოდნენ, რომელთაც ნაღმოსნები სდარაჯობდნენ. წყალქვეშამ კიდევ ესროლა ნაღმი და ერთი ტრანსპორტი დაჰღუპა.

**დამატებითი ცნობები.**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 6. დაბრუნდა ჩვენი 2 ოდნავ დაზიანებული ნაღმოსანი. მეზღვაურებმა სთქვეს, ოიზელის მიდამოებში ოქტომბრის 29-დან განუწყვეტლივ ბრძოლა იყოო, მათი სიტყვით სექტემბრის 4-მდე გერმანელებს 9 გემი დაჰკლებიათ. აქედან დრედნოუტი და კრეისერი დაღუპულია, 1 კრეისერი კლდეს დაეჯახა, 4 ნაღმოსანი დაიღუპა, 2 დაზიანდა. ჩვენს დანაკლისს შეადგენს: ,,გრომ'' და ,,სლავა''. ,,გრაჟდანი'' და ,,ბაიანი'' მცირედ არიან დაზიანებულნი. მეზღვაურთა შორის სამაგალითო ერთსულოვანებაა, ყველანი ბრძოლად მიიწევენ. ,,გრომს'' 20 ალაგას მოხვედრია თურმე ყუმბარა, მაგრამ უკანასკნელ ყუმბარამდე იბრძოდა. როდესაც მეზღვაურები ,,გრომიდან'' გადმოვიდნენ, მას მტრის ნაღმოსანი მიუახლოვდა წასაყვანად, მაგრამ ,,გრომზე'' დარჩოშილმა ნაღმის ესროლა და მტრის გემი ,,გრომთან'' ერთად ჩაიძირა. ,,გრომიდან'' ერთი ოფიცერი ძალით ჩამოიყვანეს. ,,გრომი'' და 3 სხვა ნაღმოსანი 3 ნახევარ საათის განმავლობაში ებრძოდნენ მათზე 10-ჯერ ძლიერ მტრის ძალებს. ასევე მამაცურად დაიღუპა ,,სლავა''.

**მტრის ცეპელინი**

**ბალტიის ზღვა.** ჩვენი პოსტების წინ მტერს არ უმოქმედნია. მდგომარეობა უცვლელია. ცენენფელდის მიდამოებში ცეპელინი გამოჩნდა.

**ტყვეების დახოცვა**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტ. 7. ოიზელიდან გამოქცეულ ესტონელთა ჩვენებით გერმანელებმა ნავებში ჩასხეს ტყვეები და უთხრეს: „თქვენი საქმელი ჩვენ არ მოგვეპოვებაო“, მაგრამ დაიძვრებოდნენ თუ არა მაშინვე ტყვის მფრქვეველებს უშენდნენო.

**დასავლეთის ფრონტი.**

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ოქტომბრის 7. მდ. ენის ფრონტზე მენეჟოს ფერმის უბანში საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლაა. მაასის მარჯვენა მხარეზე, ბენზანვოს ჩრდილოეთით, კარერის ტყის მახლობლად, ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** ოქტომბერი 6. ოფიციალი ზონნებეკესთან გერმანელთა არტილერიის ჩვეულებრივი მოქმედებაა. ჩვენმა არტილერიამ მტრის ასპარეზებს საკმაოდ ძლიერი სროლა აუტეხა. არლეს მახლობლად გერმანელთა არტილერია დიდ მოქმედებას აჩენდა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა დაზვერეს სადგური კურტრე. ჩამოაგდეს გერმანელთა 5 ჰაეროპლანი და ოთხიც დააზიანეს. საჰაერო ზარბაზნების ცეცხლით ჩამოვაგდეთ გერმანელთა ერთი ჰაეროდრომი. ჩვენ 7 ჰაეროპლანი გვაკლია.

**იაპონია-ამერიკის თანამშრომლობა**

**ტოკიო.** ოქტომ. 3. ამერიკასა და იაპონიის შორის მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ თუ რა მონაწილეობა მიიღოს თვითეულ მათგანმა რუსეთის დახმარებაში. ამის გამო იაპონიამ საგანგებო კომისია გაგზავნა ამერიკაში.

**საჰაერო იერიში ლონდონზე.**

**ლონდონი.** ოქტომბრის 5. მტრის დირიჟაბლებმა 7 საათის შემდეგ იერიში მოიტანეს აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის საგრაფოებზე. მტრის ჰაეროპლანები თვით ინგლისშიც შემოიჭრნენ ყუმბარები ლონდონის რაიონშიც ჩამოჰყარეს.

**თავდასხმის შედეგები.**

**ლონდონი.** ოქტომბრის 7. ოფიციალი ცნობაა, რომ წუხანდელ თავდასხმის დროს მოკლულია 27, ხოლო დაჭრილი 58; დაზიანებულია რამდენიმე სახლები და სავაჭრო საწყობები.

## ეროვნული კითხვა.

დეპეშები

**უკრაინის კომისართა ყრილობა**

**კიევი.** ღვინობისთვის 5. უკრაინის კომისართა ყრილობა წინააღმდეგია უკრაინის თავისუფალ ყაზახთა ჯარის შედგენისა და საჭიროდ სცნობს იარაღი ჩამოართვას იმათაც, ვინც თავის ნებით შეადგინეს თავისუფალ ყაზახთა რაზმები, და უკრაინელთა სამხედრო ნაწილებს გადასცეს.

**კადეტების გასვლა რადიდან**

**კიევი.** ღვინ. 5. მცირე რადამ გენერალურ სეკრეტარიატის დეკლარაცია მიიღო, ამის გამო კადეტები ცენტრალ რადიდან გავიდნენ, რადგანაც ისინი წინააღმდეგნი იყვნენ დეკლარაციისა.

**სამხრეთ გუბერნიების კომისართა ყრილობა**

**კიევი.** ღვინობისთვის 3. მთავარ სეკრეტარის ვინნიჩენკოს თავმჯდომარეობით დაიწყო კიევის, ვოლინის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიის სამაზრო და საგუბერნიო კომისრების ყრილობა. კიევის გუბერნიის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთა მაზრებში თავი იჩინა ადგილ-მამულების ტაცებამ და მცხოვრებთა და ტყის მესაკუთრეთა შორის კონფლიქტებმა. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ზოგიერთა მაზრებში მეტად გახშირდა ეკონომიურ ნიადაგზე სხვა და სხვა გაუგებრობა. შაქრის პლანტაციებში ხშირია ბოროტმოქმედება. ხშირია აგრეთვე არაყის ჩუმად ხდა. ხდება აგრეთვე ჩუმი მკვლელობები. მილიცია სუსტია.

## უკანასკნელი დეპეშები.

ტომსკში მუსულმანების ყრილობა გაიხსნა.

—

ცარიცინში მცხოვრებლები დიდ განსაცდელში იმყოფებიან. აჯანყებულ ბრბოსაგან მოკლულია 170 კაცი და ქალი.

—

ვაჭართა და მრეწველთა ჯგუფი რესპუბლიკის საბჭოში წარმომადგენლათ კუტლერს გზავნის.

—

რესპუბლიკის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით სხდომისათვის 3 დღე გადაწყდა კვირაში. 10 ოქტომბერს მინისტრების სხდომა მოხდება, რომლებიც სამშობლოს დაცვის საკითხს განიხილავენ.

—

პრესა სალამით ეგებება რესპუბლიკის საბჭოს გახსნას: „დენ“-ი სწერს: საჭიროა უარვყოთ პარტიული შეჯახება, რადგან შესაძლოა მტერმა თვის რკინის ხელით ყველა ჩვენი რევოლუციის დონქუანები მიწაზე დაანარცხოს. გაზეთი აღნიშნავს სახელმწიფოებრივ ბლოკის საჭიროებას.

—

„რუსკაია ვოლია“ სწერს: რესპუბლიკის საბჭო ჩვენი რევოლუციის უკანასკნელი ლონისძიებააო.

—

ცენტროფლოტმა ცნობა მიიღო, რომ მტერს ტყვედ ჩაუვარდა მათი წარმომადგენელი ვიშნევსკი. იგი ბალტიის ზღვაზე მდგომარეობის შესატყობად იყო გაგზავნილი.

—

რევოლუციურ დემოკრატიის ხელმძღვანელნი წინააღმდეგნი არიან დროებითი მთავრობის მოსკოვში გადასვლაზე.

—

როძიანკოს ჟურნალისტებისათვის უთქვამს, ღვინობისთვის 20 ბოლშევიკები დროებითი მთავრობის ჩამოგდებას ეცდებიან; ამათი გამარჯვება სეპერატიულ ზავის ჩამოგდებას და გერმანეთის მიერ რუსეთის დამონებას ნიშნავსო.

—

როძიანკო ირწმუნება, ვითომც ქ. რიგის მართლ-მადიდებელთა საკრებულო ტაძარში ვილჰელმი ხატს ემთხვია და ბრძანა ღვთის მსახურების დროს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მოიხსენეთო.

# არ მინდა ტაში!

(ლექსისებური).

**ძლვნად ჩემს „მეგობრებს“.**

არ მინდა ტაში!.. გმადლობთ დიდად... ნუ შესწუხდებით!
ეგ თქვენი ტაში ვერ გაჰკურნავს გულის იარებს,
ცეცხლ-მოდებულსა ჩემს არსებას ვერას უშველის,
პირ-იქით, უფრო დამაწყლულებს, დამაიარებს!
გთხოვთ დაივიწყოთ, რომ თქვენა ხართ ბედნიერები,
და მე,—უმწეოს, სულით ობოლს, გულით დაჩაგრულს
მკითხოთ: ვინა ვარ, რასა ვფიქრობ, სად ვიარები?
მე ქართველი ვარ! ვფიქრობ მარად ხალხის აღდგენას,
ოცნებით დავალ თავისუფალ საქართველოში,
მშიერ-მწყურვალი ვმადლობ გულით მაინც მე ზენას,
რომ ბინა მომცა ჩემთა ძველთა, სამლოცველოში!
ეს გზა მასწავლა დედა-ჩემმა,—დედამ ტანჯულმა,
ეს გზა მესიზმრა ობოლს, დევნილს იმავ-თავითვე,
ეს გზა შეიტკბო ჩემმა სულმა და ჩემმა გულმა,
ეს გზა ვარჩიე სიბერემდე სიჭაბუკითვე!
ხოლო თუ გზაში შემხვდა ვინმე,—კაცი გრძნეული
და დამამარცხა... დამიჯაბნა სუსტი, ეული,
მეცა მყავს შვილი! მას გადავცემ ანდერძს მამეულს
არ უღალატოს გზას წმინდასა,—მამა-პაპეულს!
და როცა ხალხი,—ხალხი ჩვენი დროშას აღმართავს,
დროშას ძლევისას,—(დიდება მას და ერთგულება!)
ბებერი ნეშტი, ჩემი ნეშტი დახრულ-დაღრღნილი,
სამარეშიც კი ნეტარებით ჩაიფერფლება!..

8 ოქტომბერი, 1917 წ. — ია ეკალაძე.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

**გუბერნიის სასურსათო კომიტეტში.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება: 1) არჩეულ იქმნეს კომისია 9 პირისაგან; 3 წევრი გარნიზონიდან, 2 მუშათა და სალდათთა საბჭოებიდან და თითო გუბერნიის და ქალაქის სასურსათო კომიტეტებიდან, ქალაქის თვითმართველობიდან და ვაჭართა ბიუროდან. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა ქალაქში არსებული ფართლეულობისა. ყველაზე უსაჭიროესი სანოვაგისა. ფართლეულობას და სანოვაგეს უნდა დაედოს ნიხრი და წესიერად განაწილდეს, როგორც ქალაქის მცხოვრებთა შორის ისე ქალაქის გარეთ მცხოვრებთა შორისაც; 2) დააჩქარონ რომ სისწრაფით იქნეს შემოღებული ბარათები ფართლეულობაზე და სხვა უსაჭიროეს საქონელზე; 3) გაგზავნონ ქ. მოსკოვს და რუსეთის სხვა ქალაქებში მუშათა და სალდათთა საბჭოების წარმომადგენლები, რომ ზედამხედველობა გაუწიონ ვაჭრობაში იმ ვაჭრებს, რომელნიც წასული იქნებიან ქუთაისიდან სხვა და სხვა საქონელის შესაძენათ.

ამ კომისიაში გარნიზონის მხრით არჩეულ იქმნენ ჯ.-კაცები: პონამარენკო, დიტლოვი და პოდავიდნიკოვი, მუშაია საბჭოდან-ჯიმშელეიშვილი, სალდათთა საბჭოდან მოვრიკი, გუბერნიის სასურსათო კომიტეტიდან-ჩიქოვანი, ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან-კაკაბაძე ქალაქის თვითმართველობიდან ი. თევზაძე და ვაჭრებისათვის დასტოვეს ერთი ადგილი რომ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნონ.

**კაკი წერეთელი.** გუშინ 10 ოქტომბერს დასასვენებლად უნდა გამგზავრებულიყოს დიდ-ჯიხაიში.

**ჯარის კაცთა დადგენილება.** 110 სათადარიგო ქვეითა პოლკის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: რადგანაც ჩვენს პოლკს სახელს უტეხს და ჩვენ ჩირქს გვცხებს ის ჯარის კაცები, რომელთაც ქუთაისი დაარბიეს, ეთხოვოს სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ზომები მიიღოს, რათა ეს ჯარის კაცები გადარჩეულ იქმნან და გაიგზავნონ ფრონტზე.

**დამფუძნებელი კრებისთვის.** ქუთაისში არსებულმა ყველა ჯარის ნაწილების უფროსებმა ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა სიები იმ ოფიცრებისა, სამხედრო მოხელეებისა და ჯარის კაცებისა, რომელთაც უფლება აქვთ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

**შეუფერებელი მოქმედება** გუშინ, 10 ოქტომბერს, გუბერნიის სასურსათო კომიტეტში გამოცხადდა რამდენიმე იუნკერი და განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც სადილს ამზადებდენ რემდენიმე ჯარისკაცმა ქვაბში მათ მკვდარი ძაღლი ჩაუგდო. იუნკრებმა სასურსათო კომიტეტში შაქარი მოითხოვეს, რომ მშიერი არ დარჩენილიყვნენ.

**შაქარზე ნორმის მომატება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წინაშე, რომ შაქარზე ნორმა მომატებულ იქნეს, ე. ი. თითეულ სულს თვიურათ უნდა მიეცეს $2^1/_2$ გირვანქა შაქარი.

**ყურძენი.** უკანასკნელ დღეებში სოფლებიდან დიდძალი ყურძენი შემოაქვთ ფუთი 9-10 მანეთად იყიდება.

**შაქრის დათმობა.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა ზედა მაღლაკის მომხმარებელ ამხანაგობას დაუთმო 50 ფუთი შაქარი,

**სათესლე პურის ხორბალი.** სასურსათო კომიტეტმა ჩრდილოეთ კავკასიიდან მიიღო 2 ვაგონი კარგი ჯიშის სათესლე პურის ხორბალი. ეს ხორბალი გადაეცა ზესტაფონის სასურსათო კომიტეტს, რომ მცხოვრებთა შორის წესიერათ გაანაწილოს.

**საგუბერ. აღმასრულებელ კომიტეტის** კრება, რომელიც დანიშნული იყო 9 ოქტომბერს წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო შემდეგისათვის გადაიდო.

**კრება** დღეს, 11 ოქტომბერს, დღის 4 საათზე დანიშნულია ქალაქის სასურსათო კომიტეტის კრება, თავმჯდომარის ამხანაგისა და გამგეობის ერთი წევრის ასარჩევათ.

**ამიერ-კავკასიის** განსაკუთრებულმა კომიტეტმა დაამტკიცა და დასადასტურებლათ იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა პროექტი მომრიგებელი მოსამართლეებისა რჩევის შესახებ.

**კავკასიის საწყლო** სამმართველომ წყლის ხმარების მეათე უბნის უფროსათ დანიშნა ინჟინერ-გიდრავლიკოსი ა. ლორთქიფანიძე.

**ადგილობრივი ვალი.** ა. მიასნიკოვმა ქუთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება დაერთოთ ქუთაისიდან მოსკოვს წაეღო ადგილობრივი შალის 800 ნაჭერი. კომიტეტმა შალის გაზიდვის შესახებ მიასნიკოვს უარი უთხრა.

**სიმიდის რეკვიზიცია.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა დ. ხობში სპეკულიანტებს ჩამოართვას სიმინდი და გაყიდოს ფუთი 3 მან. და 18 შაურათ.

**მოწაფეთა კრება.** 12 ოქტომბერს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის მოწაფეთა კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ კრებას დაესწრონ.

**ჟურ. ნაკადული.** ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,იმერეთს'' მოუვიდა ჟურ. ,,ნაკადულის'' №№ 10 და 11 მცირეწლოვანთათვის და მოზრდილებისათვის № 5. ხელის მომწერლებს შეუძლიათ მიიღონ კანტორაში.

**შემოზიდული საქონლის** რეგისტრაციის მოსახდენთა, სასურსათო კომიტეტმა დადგინა იყოლიოს რკინის გზის სადგურზე განსაკუთრებული კაცი, რომელსაც თვიურადმ იეცემა 200 მანეთი. ამ კაცმა თვალყური უნდა ადევნოს შემოტანილ და გატანილ საქონელს.

**შეშის კრიზისი,** ქუთაისში შეშა თითქმის სულ არ იშოვება. რაც შეშა შემოდის, ის მხოლოდ ჯარს უნდება. მცხოვრებლები უშეშოთ გასაჭირს განიცდიან.

**წყალ გალმა** პირველი უბნის სარაიონო სასურსათო კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე, ხაზინის პირდაპირ, მევარიძის სახლში.

## საქართველოს ეკლესიის გარშემო.

სარწმუნოების მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონმა გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკლესიის დელეგატები 20 ღვინობისთვეს უნდა ჩამოვიდნენ პეტროგრადში გამმიჯნველ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კომისია თვით შეუდგება საქმის განხილვასაო“. საკათალიკოზო საბჭომ შემდეგი პასუხი გაუგზავნა კათალიკოზის სახელით: „როგორც წინადაც გაცნობეთ, საქართველოს ეკლესიის დელეგატები გამმიჯნველ კომისიის მუშაობაში პეტროგრადში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რადგანაც ყველა დოკუმენტი და საარქივო მასალები თბილისში იმყოფება, ამასთანავე გაცნობებთ, ცალმხრივად შედგენილ კომისიის დადგენილებანი სავალდებულოდ ვერ ჩაითვლება ჩვენი ეკლესიისათვის“.

—

საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებებს ყოფილი სასინოდო კონტორის ზოგიერთი მოხელენი წინააღმდეგობას უწევენ. კონტორის მღივანი ალექსი დავითაშვილი ამ დღეებში გაიპარა პეტროგრადში და თან წაიღო საიდუმლო დოკუმენტები. ხოლო მოხელენი: ს. წერეთელი და მიხ. მონასელიძე ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან საბჭოს მიერ დანიშნულ კომისრე-

ბს. მათი საქციელი დანარჩენ მოხელეთა შორის იწვევს აღშფოთებას. პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელ ბ ნ წერეთლის კადნიერება იქამდის მიდის, რომ მან უარი შეუთვალა კომისრებს მათთვის სამუშაო ოთახის მოწყობისათვის კონტორის შენობაში. კომისრები იძულებული იყვნენ დაეჭირათ ეგრედწოდებული „პრისუტსტვიის“ ოთახი, რომელიც ამიერიდან ყოფილი კონტორის რუს წევრთათვის დაიკეტა.

---

ყ. სასინოდო კონტორაში პოპოვის ბინა, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლ, გარდაიქცა კონტრ-რევოლუციონერთა ბუდეთ. სამწუხაროა, რომ საქართველოს ეკლესია ახლაც ვერ დაეპატრონა საკუთარ შენობას და იმ დროს, როდესაც კათალიკოზის მოსაყდრე მიტროპოლიტი ლეონიდი მოთავსებულია ერთ ოთახში, ისიც დროებით, ჩვენ ეკლესიის შენობაში სცხოვრობს მისი დაუძინებელი მტერი.

## სწავლის ფასის მომატების გამო

(იხ. „ჩვ. ქვეყ.“ № 133).

ჩემი პირველი წერილი ქუთაისის ხელმოკლე მოწაფეთა მდგომარეობას შეეხებოდა.

ახლა უნდა იკითხოთ, ბატონებო, რა აუტანელ ტანჯვა-წვალებას განიცდიან სოფლიდან დაბრუნებული მოწაფეები!..

დღე ისე გაივლის, რომ ამათი კვნესა ჩივილი არ გავიგონო 'ეხლანდელი სააჩვენო სიძვირის გამო.

მოგეხსენებათ მიუწდომელი შეიქნა ამათთვის ბინა, საჭმელი, სამოსელი...

ამას თუ ახლა სწავლის ფასის აწევასაც მიუმატებთ, ადვილათ წარმოიდგენთ—რა საშინელ პირობებში იწყება წელს სწავლა!.. როგორ უნდა გაუმკლავდენ ჩვენი ღარიბი მოწაფეები კარზე მომდგარ უბედურებას-სიმშილს, სიტიტვლეს!!..

დააკვირდით ბატონებო, ამათ დაღვრემილ სახეს, ამათ შელანძღულ ხალათს, ფეხსაცმელებს!.. მოუსმინეთ ამათ მშობლებს, ბედისწერას რომ იწყევლიან, რატომ, შვილები რატომ ჩამოვიყვანეთო და მაშინ,მხოლოდ მაშინ დარწმუნდებით, რომ თქვენი ოქროპირი თუ ღაღადებს, ყველაფერი გაძვირდა, ჯამაგირი არ გვყოფნისო, მათი ოქროპირიც ამასვე აღიარებს საჯაროთ, ხაზგასმით.

დიახ, ბატონებო, გეთანხმებით, რა თქმა უნდა, რომ დახმარება ეჭირვება როგორც მთავრობის, ისე კერძო შკოლეპის მასწავლებელთა უმრავლესობას მაინც. მაგრამ... ვინ, ვინ უნდა იკისროს ეგ დახმარება? ეს საკითხი იმდენათ ცხადია მარტივი, რომ ამის მეტს არას მოგახსენებთ: ახალი მოთხოვნილება თუ ხელმოკლე მშობლებსაც შეეხება, მეტადრე წვრიმალ „ჩინოსნებს“,, რომელთაც, ვიმეორებ, თქვენი ჯამაგირის მეოთხედიც არ ეძლევა და ზოგიერთი მათგანი კი რამდენიმე შვილსა ზრდის თავის ხარჯით --ამათ, ამისთანა მრობლებს, არავითარი „წამატების თავი აღარა აქვთ, ჩემო ბატონებო. პირიქით, ესენი თქვენგან მოელიან დახმარებას, რომ შეღავათი გაუწიოთ იმ ფულის შემოტანაში, რაც დღემდის შემოქონდათ.

ი ნ - წ-ი

## წერილები მოსკოვიდან

I.

დიდ ქალაქებს საზოგადოთ ჩქარი, ნერვიული ცხოვრება ახასიათებს. შემოქმედებითი ენერგია იმდენად სწრაფად მოძრაობს, რომ ყოველ წუთს ახალ-ახალ ღირებულებასა ჰქმნის. ეს მოძრაობა ცხოვრების ყოველ დარგს, ყოველ სფეროს აშკარათ ეტყობა. მაგრამ დღევანდელ მოსკოვისთვის დიდი ქალაქის ასეთი დახასიათება არ გამოგვადგება ერთი საბედნიერო გამონაკლისის გარდა. ეს გამონაკლისი კინემატოგრაფებისა, თეატრებისა ცირკის, ოპერა-ოპერეტკების, კაბარეებისა და ვარიეტების მოძრაობაა. მაგრამ აქაც არ უნდა იყოს, როგორც ამბობენ ძველებური სიცოცხლის წყურვილი და ძიება. სხვა მხრით მოსკოვის ნერვიულობა მხოლოდ სურსათის გამუდმებულ ძებნაში გამოიხატება და პირველის შეხედვით კაცს მოსკოვის მცხოვრებლები მეტისმეტი შადიან ხალხათ მოეჩვენება. ამ ორ სფეროში სჩანს სიცოცხლის ნიშანწყალი, სხვა მხრით თითქო ყოველივე სულს ღაფავს. მართლაც, სხვა არაფერი მოხვდება თვალში დღევანდელ მოსკოვის მნახველს. ახლა კიდევ უნივერსიტეტი აპირობს შეჩერებულ კულტურულ მუშაობის განახლებას, მაგრამ აქაც აშკარათ სჩანს სტუდენტთა რიცხვის დიდი ნაკლებობა. ასეთია საერთო სურათი-მაგრამ ეს ყოველივე იმდენად შეუთვისებია მოსკოველს, რომ ქალაქის ცხოვრება განცვიფრებაში მოიყვანს მნახველს. დღეს ყველაფერი ნაცადია, არაფერი აღელვებს, არაფერი გააკვირებს ქალაქის მცხოვრებს, რომელიც მხოლოდ სურსათისთვის ფუსფუსებს. თანამედროვე ხანის გამაცოცხლებელი წამალი-არჩევნებიც კი ველარ აფხიზლებს მის მთვლემარე არსებას. მკითხველს მოეხსენება რუსული გაზეთების მიერ იმ გულგრილობის დახასიათება, რომელიც აშკარად ეტყოდა მოსკოვში წინ კვირას მომხდარ საქალაქო, სარაიონო არჩევნებს. მცხოვრებთა მეტი ნაწილი დღეს უანგარიშოთ მისდევს ასეთ პოლიტიკურ მუშაობას.

მაგალითად ძალიან ხშირად გაიგონებდით ბოლშევიკებს მივეცი ხმა, რადგან მათი მთავარი ლოზუნგი: „ძირს ომი“ არისო. ბოლშევიკური პროგრამის დანარჩენ მხარეებს ანგარიშს არ უწევენ. ასეთი ადამიანების სიმრავლე არჩევნებმა დაამტკიცა. საერთო აბსოლუტური სიმრავლე ბოლშევიკებს ხვდა წილათ, თუმცა ზოგ რაიონებში კადეტები მეტობენ. ცხადია, ცხოვრების თანდათანი გაჭირვება უფრო გააბრაზებს გულგრილ „ობივატელ“-ს, იგი უფრო უანგარიშო შეიქნება, რაც ბოლშევიკებს მომავალში უფრო მეტ გამარჯვებას უმზადებს. ბოლშევიზმი დღეს არა თუ მარტო „ობივატელ“-ს, უფრო შეგნებულ ელემენტებსაც იტაცებს. აქ იმდენად გონება არ მოქმედობს, რამდენადაც გაბრაზებული, ცხოვრების დღევანდელი სახით შეწუხებული ადამიანის სულიერი განწყობილება. ამიტომ მიუხედავათ ქალაქის მცხოვრებთა სხვა და სხვაობისა, უმეტესო-ა დღეს ბოლშევიკებს ემხრობა ბოლშევიკური სულისკვეთება არც ქართველ სტუდენტებისთვის დარჩა უცხო ხილათ. ქართველი სტუდენტობა რუსული ცხოვრების განუყრელი მიმყოლია. კარგი ბევრი შეუთვისებია და არა ბუნებრივი იქნებოდა ამასთანავე ბევრი მხარეებიც არ შეეთვისებია. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა. იგი სანუგეშოს ცოტას გვპირდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია. ასეთი საშიში მდგომარეობის დასასრული სრულიად უხიფათო არ იქნება. ჩვენც ველოდეთ ამ ხიფათს, რადგან იგი გამოსჭედს მომავალი ცხოვრების მებრძოლს. მომავალი კი რომ სასურველი იქნება, ამაში ეჭვი არც ერთ დღევანდელ მომქმედ, თავის ერის სიყვარულით გამსჭვალულ ინტელიგენტს არ უნდა ეპარებოდეს. სხვაზე შემდეგ.

მ. ეგრისელი.

## საქალაქო დებულების ცვლილებანი.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა საქალაქო დებულებაში შეეტანა შემდეგი ცვლილებანი,რომლებიც ენკენისთვის 19-ას სხდომაზე იქნა დაკანონებული: I. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ნება არა აქვთ ადგილობრივ საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში რაიმე თანამდებობაზე იყვნენ. II. თუ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული პირი სისხლის სამართალში იქნა მიცემული, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა ეს პირი დროებით თანამდებობიდან გადააყენოს. III. გუბერნიის კომისარს პირადათ,ან მისი თანაშემწის ან რომელიმე სამაზრო კომისარის საშუალებით ნება აქვს დაწესებულებებს რევიზია გაუკეთოს და მათ საგამგებლო და სამეურნეო სხვა და სხვა ფარგლებში მოქმედება განიხილოს და მოსთხოვოს მათ ცნობები და განმარტება; თუ რაიმე უკანონობა იქნება შენიშნული და ქალაქის საბჭო კანონიერების აღსადგენად ზომებს არ მიიღებს, გუბერნიის კომისარმა ამის თაობაზე პროტესტი უნდა განაცხადოს საოლქო სასამართლოში. IV. ქალაქის გამგეობას არ შეუძლია თანამდებობაზე მოიწვიოს იმავე ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

## სახალხო მასწავლებლებს!

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის მიერ (3-8 ენკენისთვის) არჩეული აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს ამხანაგ მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ ამ ყრილობას ჩამოშორებულმა სოციალ-დემოკრატ მასწავლებელთა ჯგუფმა უკვე დაიწყო იერიში ზემოხსენებულ ყრილობაზე მიღებულ დადგენილებათა გასაბათილებლად; ამიტომ კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისაც თავისუფალი სკოლისთვის გული შესტკივა, მტკიცედ დაიცვას ყრილობის მიერ შემუშავებული დებულებანი და მით დაამტკიცოს თავისი მოქალაქეობრივი შეგნება და პოლიტიკური სიმწიფე. ამასთანავე ვაცნობებთ ყველას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ურთიერთობა დავიჭიროთ ძალად თავზე მოხვეულ „მეთვალყურეებთან“ და არავითარი მათი განკარგულება სკოლის მოწესრიგებისა და მასწავლებელთა დანიშვნა გადაყვან-გადმოყვანის შესახებ ჩვენთვის სავალდებულო არ იქნება.

**დასავ. საქ. სახალხო მასწავლებელთა აღმასრულებელი კომიტეტი.**

## მთიელთა ყრილობა.

ენკენისთვის 21 კავკავში დაიწყო გაერთიანებულ თერგისა და დაღესტანის ოლქების მთიელთა კავშირის მე-2 ყრილობა.

ყრილობაზე გადამწყვეტის ხმით მოწვეული იყო 15000 კაცზე ერთი წარმომადგენელი, სულ 65 დელეგატი. ამას გარდა ყრილობაზე მოწვეულნი იყვნენ რჩევის ხმის უფლებით სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების 200-დე წარმომადგენელი.

ყრილობის გახსნის დღესვე დაიწყეს მოქმედება აგრარულმა, სატყეო, დამფუძნებელ კრებისა, სასურსათო, პოლიტეხნიკურმა და სასკოლო სექციებმა. მეორე დღეს კი სასულიერო, სახალხო მილიციისა და საფინანსო სექციების მუშაობა გაიხსნა.

ყრილობის პროგრამა ასეთია: 1) მისალმებანი და საორგანიზაციო კითხვები; 2) კავშირში აბხაზების შესვლა; 3) ცენტრალ კომიტეტის მოქმედების ანგარიში; 4) მოხსენება ფედერაციაზე; 5) მოხსენება მომენტის შესახებ; 6) კონსტიტუციის გადასინჯვა; 7) საფინანსო საკითხები; 8) დამფუძნებელ კრების არჩევნები; 9) სახალხო მილიცია; 10) ტყეების საქმე; 11) საადგილ-მამულო კომიტეტები და გლეხების დეპუტატთა საბჭო; 13) აგრარული საკითხი; 13) დანარჩენი საკითხები.

ყრილობის მეორე დღეს საყურადღებო იყო სიტყვა კავკასიის ადგილობრივ კორპუსის კომიტეტის თავმჯდომარის, ჩაჩანთა პოლკის უფროსის სულთან ყირიმ გირეისა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო, თუ რა პირობებში მიიღო მთიელთა კორპუსმა მონაწილეობა კორნილოვის ამბოხებაში.

ყირიმ ვირეის შემდეგ ილაპარაკა კორპუსის უფროსმა გენ. პოლოვცევმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ყაზახთა შორის.**

ყაზახთა კავშირმა პარიზის კონფერენციაზე თავის მხრივ ცალკე წარმომადგენლი მოითხოვა.

**ეს-ერთა პროტესტი.**

პეტრეს ქალაქის ესერთა გაერთიანებულმა წრემ, რომელიც გაზ. ,,დელო ნაროდა''-ს გარეშემოა შემოკრებილი, პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ის პირები, რომელთაც გერმანიაზე გამოიარეს ან თავის თავს „პორაჟენცებს“ უწოდებენ დამფუძნებელ კრების არჩევნების კანდიდატებათ არიან წამოყენებული. მათ შორის არიან: პერშტეინი, ნატანსონ, კაპიცა, დაკინოვი, კარელინი და კამიკოვი.

**ნ ლვოვის განთავისუფლება.**

კორნილოვის საქმის გამო დაპატიმრებული დეპ. ნ. ლვოვი უკვე განთავისუფლეს სატუსაღოდან:

**პეტრეს ქალაქის დაცლა**

კერენსკიმ დრ. მმართველობას მოხსენება წარუდგინა, რომელშიც ამბობს, რადგან ბრძოლის ველზე კატასტროფა მძვინვარდება, ამიტომ საჭიროა დედა ქალაქი საჩქაროთ დაიცალოსო. მინისტრი ზარუდნი, აღნიშნავდა რომ სასწრაფოთ დაცლა ცენტრალ ქალაქისა მიზან შეწონილი ვერ იქნება და არც ტეხნიკურათ განხორციელდებაო. ზარუდნის აზრით პირველ ხანს მიუცილებელია პეტრეს ქალაქიდან მმართველობის აღმასრულებელ ორგანოების გამოტანა და შემდეგ დანარჩენის ევაკუაციის მოხდენაო. დაადგინეს, რომ პეტრეს ქალაქის დაწესებულებანი სხვა და სხვა ქალაქებში გადაიტნონ, რაც შეეხება რესპუბლიკის საბჭოს, მას მოსკოვში მიუჩენენ ბინას.

**რევოლუციურ დემოკრატიის პროტესტი**

რევოლუციური დემოკრატია პროტესტს აცხადებს პეტრეს ქალაქიდან მმართველობის მოსკოვში გადასვლის გამო, იმ მოსაზრებით რომ მოსკოვში დამფუძნებელი კრების შეკრება რევოლუციისთვის ზურგიდან მახვილის ჩაცემა იქნებაო.

**კომუნას მოვაწყობთო.**

პეტრეს ქალაქის მეუმრავლესენი (ბოლშევიკები) აღშფოთებით აცხადებენ. რომ მთავრობის გადასვლა კერენსკის მოგონილია, იმას ჰსურს, რომ საბჭოებს ზურგი აქციოს, მაგრამ ყველანი დარწმუნებული უნდა იყვენ, როგორც კი გადავა მთავრობა პეტრეს ქალაქიდან, საბჭოები და გარნიზონი იმ წამსვე კომუნას შექმნიან და მეუმრავლესენი ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგებიანო.

**მეუმრავლესეთა ცდა.**

მეუმრავლესეთ აზრათ აქვთ ამ დღეებში საბჭოს სხდომაზე შეიტანონ წინადადება, რომ პეტრეს ქალაქი არ დაიცალოს, მეუმრავლესეთ იმედი აქვთ, რომ ამ კითხვაში ესერებსაც მიიმხრობენ.

**ჰელსინგფორსის დაცლა**

პეტრეს ქალაქში ჩამოვიდა ფინეთის გენ. გუბერნატორი ნეკრასოვი, რომელიც დრ. მმართველობას მოელაპარაკა ჰელსინგფორსიდან რუსეთის დრ. მმართველობის დაწესებულებათა გამოტანის შესახებ.

**კადეტები.**

ოქტომბრის 8-ს წინასწარ პარლამენტში მონაწილეობის მისაღებათ შესულმა კადეტებმა პირველი სხდომა გამართეს. წინასწარ პარლამენტის თავმჯდომარეს ამხანაგათ ასახელებენ ნაბოკოვს.

**პურის კითხვა.**

წინასწარ პარლამენტის ერთ უახლოეს სხდომაზე დასმული იქნება კითხვა ბეჭვდითი საქმის თავისუფლების შესახებ. მომხსენებლები წინასწარ პარლამენტს აუწყებენ, რომ ბეჭვდითი საქმის თავისუფლება რუსეთში უკვე შეიბღალა. ადგილობრივ ორგანიზაციების აგენტები თვითნებურათ ზღუდავენ პრესას და ავიწროებენ მას.

**12 პროექტი.**

იუსტიციის მინისტრი წინასწარ პარლამენტში განსახილველათ 12 პუნქტს წარადგენს, მათ შორის დეზერტირობისთვის პასუხის მგებლობის გადიდებას და ემიგრანტების მიერ სამოქალაქო (ქორწინების) კითხვას, რომელიც მათ საზღვარ გარეთ ყოფნის დროს შეუსრულებიათ.

**პრესა ანარქიის შესახებ.**

„იზვეს. სოვ. დეპ“. სწერს: „ჩვენ ისევ განვიცდით უსასტიკეს კრიტიკულ მდგომარეობას. ამოხეთქა უკმაყოფილების ტალღამ. 180 მილიონი ხალხი ხელახლა სჭიმავს ძარღვებს და რაღაცას აპირებს. ბევრია საშიში სიმპტომები, რომლებიც მუდმივ ბრძოლაში და საფრთხეში გვამყოფებენ და დასამარებით ემუქრებიან რევოლუციის მომავალ განვითარებას. საოცარის სისწრაფით წინ მიდის ეკონომიური რღვევა, რომელსაც ვერაფერი ვერ დაუდგება წინ და ვერ შეაჩერებს.

„დენი“: რევოლუციის პირველ დღეებიდან იძულებითი და ძალადურ მმართველობის დამხობის შემდეგ არ შესდგა მთავრობა, რომელსაც უნდა შეექმნა ცხოვრების ერთგვარი სავალდებულო წესი, რომელიც დააწესებდა ავტორიტეტს. მიუცილებელია ახალ სახელმწიფოს შენობის აგება. დემოკრატიას უნდა ახსოვდეს, რომ თუ მან ეს როლი ვერ შეასრულა, მაშინ ამ მიზანს განახორციელებენ სხვები და დემოკრატია გარიყული დარჩება„.

„რაბოჩ. გაზ.“: არჩევს ებრაელთა პოგრომების დაწყებას და ამბობს: კითხვა, მარტო სინდისის კითხვა კი არ არის, არამედ რევოლუციის ყოფნა-არ ყოფნის კითხვაა და დემოკრატიამ ამ პოგრომებს ყოველ უკიდურეს საშუალებით უნდა ებრძოლოს.

**“ნოვაია ჟიზნის რეცეპტი“.**

,,ნოვაია ჟიზნი“ ეხება აწინდელ კრიტიკულ მდგომარეობას და ამბობს სიმშილის თავიდან აშორება, კრიზისის თავის დახწევა უკიდურესად ძნელი საქმეა, და მისი შესრულება ძალუძს მხოლოთ ერთფეროვან მთავრობას.

„ვოლია ნაროდა“ ჰკითხულობს: „გვაქვს თუ არა სამშობლო? და თუ გვაქვს მოუაროთ მას,-ანარქია გვსპობს, და თუ არა გვაქვს, მაშინ გავეხვიოთ ანარქიის ალში, გავხდეთ სტიქიის მსხვერპლი, ვძარცვოთ და ვხოცოთ ერთმანეთი.

,,ბირჟ. ვედ.“ ი აღნიშნავს, რომ ჯარისკაცთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე კითხვა აღიძრა, რომ ანარქიასთან ბრძოლა უნდა დაეკისროს მხოლოდ საბჭოებს, მათი უფლება უნდა გაფართოვდეს და სოვათაშორის ...ლის ხმარების ნებაც უნდა მიეცეს. გაზეთი ამბობს: საჭიროა დრ. მმართველობა ნამდვილ მმართველობათ იქცეს და განაცოს სახელმწიფო. ორი მთავრობის შექმნა ერთ და იგივე დროს სრულიადაც არ არის სასურველი და ამიტომ დაყენებული კითხვა ყოვლათ მიუღებელია.

## შემოწირულებანი.

ალ. ყაზბეგის“ სახელობის სამკითხველოს სასარგებლოდ.

ქუთაისში „გოჭოურას“ უბანში ყაზბეგის სახელობის ახლად გახსნილ სამკითხველოს შემოსწირეს: 1, ზაქარაია ვარდანაშვილმა 25 მან; 2, მღ. ირ. ბაკურაძემ 3, ჭაჭუ ბობოხიძისამ, 4 მ. მიხეილ უგლავამ, 5, მღ. ბესარიონ თოდუამ 6, კონსტ. ბიბაშვილმა ათ-ათი მანეთი თითეულმა. 7, მღ. კონსტანტინე გიორგაძემ რვა მანეთი 8, რაჟდენ კანდელაკმა, 2, ვარლამ ბაქრაძემ, 10) გედევან პაპუაშვილმა 11, მათე უგლავამ 12) ბიკტორ პაპუაშვილმა 13 ანტ. უგლავამ. 14) გიორგი ჯანელიძემ, 15) ვარლამ ქუთათელაძემ 16) ნესტორ ქათამაძემ 17) მალაქია სირაძემ, 18) გრიგოლ მაჭავარიანმა 19) ილია სულაბერიძემ -- ხუთ-ხუთი მანეთი 20) ვლადიმერ ნაცვლიშვილმა, 21) აფრასიონ კიკნაძემ, 22) ოქრ. კვატაშიძემ, 23) გერ. ქუთათელაძემ, 24) დომ. კოლუაშვილმა 25) ზაქ. უზნაძემ, 26) ილ. ლორთქიფანიძემ სამ-სამი მანეთი, 27) ილ. იამანიძემ, 28) ნესტ. გვილავამ, 28) ნინო ჩხეტიას ასულმა და 30) მინა ქათამაძემ—თითო მანეთი. სულ შესდგა 165 მანეთი, რომელიც გადაეცა სამკითხველოს მზრუნველ კომიტეტს, რისთვისაც კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ. იმედია სხვანიც აღმოუჩენენ დახმარებას ახლად გახსნილ სამკითხველოს.

მზრუნველი კომიტეტის წევრი **გიორგი ჯანელიძე.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკველია.**

---


## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | -- საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | -- დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს - | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ,ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 191.

---

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში